

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №14

ქ. თბილისი

31.08.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანადირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი, სხდომის მდივანი;
მანანა მიქაბერიძე - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
რამაზ ჭილაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:
ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:
ლიკა გიორგაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
კობა გელაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

სოსო გოგილიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
არჩილ ჯანგირაშვილი - უნივერსიტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
ჯონი მწარიაშვილი - უნივერსიტეტის ავტორიზაციის განყოფილების უფროსი;
თინათინ ღუდუშაური - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
ნანა ფრუიძე - პროფესორი;
ნანა შავთვალაძე - ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ელზა ნიკოლეიშვილი - ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.
4. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ:
გიორგი ცხვედიანი - ვიცე რექტორი;
ნონა ზუმბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- არჩილ აბაშიძე;
- ვასილ კიკუტაძე;
- მანანა ხაჩიძე;
- ნანი არაბული;
- რამაზ ქურდაძე;
- ნინო ბალანჩივაძე;
- თამარ გაიხარაშვილი;
- ლილი ხეჩუაშვილი;
- თინათინ ჭინჭარაული.

საბჭოს სხდომა 15:11 საათზე დაიწყო.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაევალა ნინო ჩინჩალაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.



1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საჯარო მმართველობის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ვასილ კიკუტაძემ და არჩილ აბაშიძემ წარადგინეს. არჩილ აბაშიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში შეხვდნენ ყველა დაინტერესებულ მხარეს და განსაკუთრებით, ხაზი გაუსვა დამსაქმებლებთან ინტერვიუს, რადგან შეხვედრისას ნათლად გამოჩნდა მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. დამსაქმებლებს შორის იყვნენ ქ. გორის მერიის, საკრებულოს წარმომადგენლები და მათ აღნიშნეს არსებული დეფიციტი საჯარო მოხელეების კუთხით, ასევე, გამოხატეს ყველანაირი მხარდაჭერა დასაქმების მხრივ.

ექსპერტმა დაამატა, რომ დამსაქმებლებს ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები, რაც უკვე გათვალისწინებული იყო პროგრამის წარდგენის დროს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ეყრდნობოდა დამსაქმებლების ინტერვიუზე გამოთქმულ მოსაზრებებს:

- სასურველი იქნებოდა, პროგრამაში არჩევით სასწავლო კურსად დამატებულიყო პროფესიული ინგლისური ენა, რაც დაეხმარებოდა სტუდენტებს ინგლისურენოვანი სალექციო კურსების წარმატებით დამღევაში.

- პროგრამას არჩევით კურსად დამატებოდა „პროექტების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი, რაც იმ სტუდენტებს, ვისაც საბაკალავრო საფეხურზე არ ჰქონდათ გავლილი აღნიშნული საგანი, შესაძლებლობას მისცემდა, შეეძინათ შესაბამისი ცოდნა.

- დამსაქმებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა მათი მზადყოფნა, უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ პროგრამის განხორციელებაში. მაგ: მზად იყვნენ პერიოდულად შეხვედროდნენ

სტუდენტებს ე.წ. მოწვეული ლექტორების რანგში. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას წარმოადგენდა უნივერსიტეტს გამოეყენებინა აღნიშნული შესაძლებლობა პროგრამის განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გადასცა. ლევან მიდოდაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი შვებულებაში იყო ვიზიტის დროს, ამიტომ ფორმალური ნაწილი, რაც საჭირო იქნებოდა ცვლილებების შესატანად, ვერ მოესწრო, თუმცა რეკომენდაციებს იზიარებდნენ და უახლოეს მომავალში გაიტანდნენ საკითხებს სხდომებზე.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ ის ყურადღებით გაეცნო პროგრამასა და სილაბუსებს და ბევრი შენიშვნა ჰქონდა, მათ შორის ზოგი მნიშვნელოვანი. მისი თქმით, საჯარო სამსახური იყო სახელმწიფოს მიზნებზე ორიენტირებული და უმნიშვნელოვანესი ვალდებულება ჰქონდა სოციალური პოლიტიკის (განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა და ა.შ.) კუთხით. პროგრამაში კი ასეთი საკითხები არ იყო ასახული. ნათელა სახოკიას მოსაზრებით, საჯარო მოხელეს უნდა შესძლებოდა სოციალური პრობლემების ანალიზი (განათლება, ჯანდაცვა, დასაქმება) სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური ხედვების ჭრილში და ამ საკითხების უგულებელყოფა მის ყველაზე დიდ შენიშვნას წარმოადგენდა. მან დაამატა, რომ საქმიან კომუნიკაციაზე მეტად, საჯარო მოხელეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სწავლება უფრო სჭირდებოდა, რადგან ეს მის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენდა. ასევე, კარგი იქნებოდა პროგრამაში ჩადებულიყო ფსიქოლოგიის საკითხები, რადგან კარგ საჯარო მოხელეს უნდა ჰქონოდა ემოციური ინტელექტი და თანაგრძნობის უნარი, ეს მიმართულება უკვე არსებობდა ამერიკის პოლიტიკის კონცეფციაში და აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა მთლიანად სფეროში.

საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ აღნიშნა, რომ მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პროგრამა ამზადებდა ადგილობრივ საჯარო მოხელეებს, მხოლოდ რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე.

ექსპერტმა, არჩილ აბაშიძემ განაცხადა, რომ ეს პროგრამის უპირატესობაზე უფრო მეტყველებდა, ვიდრე ნაკლზე. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ნათელა სახოკია.

არჩილ აბაშიძემ აღნიშნა, რომ ზოგჯერ პროგრამებს ფართო და მიუღწეველი მიზნები ჰქონდათ დასახული და ეს უფრო საექვოდ მიაჩნდა, ვიდრე ადგილობრივი კადრების მომზადებაზე ორიენტირება.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ამ შემთხვევაში დადგებოდა კვალიფიკაციის პრობლემა. ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა მხოლოდ გორის რეგიონზე არ იყო გათვლილი, უბრალოდ ითვალისწინებდა რეგიონის სპეციფიკას და კურსდამთავრებული უკეთესად გაუმკლავდებოდა არსებულ პრობლემებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ნათელა სახოკიას სოციალურ პოლიტიკასა და ფსიქოლოგიის კურსებთან დაკავშირებით, მაგრამ ასეთი კურსები საბაკალავრო საფეხურის პროგრამაზე ისედაც ჰქონდათ ჩადებული. რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინება კი არ გამოირიცხავდა პროგრამის კონკურენტუნარიანობას. მათ უბრალოდ შესწავლილი ჰქონდათ ადგილობრივი ბაზარი. საბაკალავრო პროგრამა ხორციელდებოდა წარმატებულად და სამაგისტრო პროგრამის შექმნის მოთხოვნაც გაჩნდა.

ციური დურულმა დაამატა, რომ საქმიანი კომუნიკაცია აუცილებელი იყო ნებისმიერი მაგისტრისთვის და კურსი ინგლისურად მიმდინარეობდა. გარკვეული საკითხები კი საბჭოს წევრებისგან მიღებულ საკითხებთან დაკავშირებით, სხვადასხვა სილაბუსში იფარებოდა. მისი თქმით, დამსაქმებლების მოთხოვნა იყო ადამიანური რესურსების მართვის შესახებ კურსის დამატება, რაც არჩევით საგანს წარმოადგენდა იმ სტუდენტებისთვის, ვისაც ბაკალავრიატზე არ ექნებოდა ეს კურსი გავლილი. ციური დურულმა აღნიშნა, რომ პროგრამა საჭიროებებზე იყო

მორგებული და არ იქნებოდა გამართლებული, ყველა უნივერსიტეტს შაბლონური და მსგავსი პროგრამები განეხორციელებინათ.

ნინო ჩინჩალაძემ კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, თუ თვლიდნენ, რომ სამაგისტრო პროგრამის დანერგვის საჭიროება იდგა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მოთხოვნა იყო ასეთ კადრებზე.

თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, ხარისხობრივად რას სძენდა მაგისტრატურა კურსდამთავრებულს უფრო მეტად, ვიდრე საბაკალავრო პროგრამა. ლევან მიდოდაშვილმა უპასუხა, რომ პირველ რიგში კვლევითი კომპონენტი იყო გათვალისწინებული სამაგისტრო საფეხურზე, განსხვავებით საბაკალავრო საფეხურისგან. ექსპერტმა, არჩილ აბაშიძემ დაამატა, რომ პროგრამა ორიენტირებული იყო პრაქტიკაზე.

ნათელა სახოკია დაინტერესდა საბაკალავრო საფეხურზე რა დრო ეთმობოდა სოციალური პოლიტიკის კურსს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ კურსი კვირაში 3 საკონტაქტო საათს მოიცავდა, იკითხებოდა ერთი სემესტრის განმავლობაში და წარმოდგენილი იყო 5 კრედიტით.

ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ ეს დრო არ იყო საკმარისი და დაინტერესდა იმ სტუდენტების შემთხვევით, ვისაც არ ექნებოდა ბაკალავრიატი დამთავრებული იმავე უნივერსიტეტში, რადგან სოციალური პოლიტიკა არც არჩევითი საგნების ნუსხაში არ იყო.

არჩილ აბაშიძემ განაცხადა, რომ იგივე საფუძვლით ნებისმიერი პროგრამის დაწესება შეიძლებოდა, რადგან საქართველოში არსებული პროგრამების დიდი ნაწილი არ ითვალისწინებდა სოციალური პოლიტიკის სწავლებას. ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ზრდიდა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და ამით განსხვავდებოდა საბაკალავრო საფეხურის პროგრამისგან.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაზე. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ 15 სტუდენტზე იყო პროგრამა გათვლილი.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, სტუდენტების რაოდენობა ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე თუ იყო დადგენილი, თუ პროგრამის ფინანსური მდგრადობის მიხედვით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ლევან მიდოდაშვილმა უპასუხა, რომ პროგრამას მდგრადობისთვის ესაჭიროებოდა 10 სტუდენტი. 15 კი საკმარის რაოდენობას წარმოადგენდა არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და სწავლების ეფექტურად განსახორციელებლად.

თავმჯდომარე დაინტერესდა ინგლისური ენის კურსების დამატება რომელი საგნების ხარჯზე მოხდებოდა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ინგლისური არჩევითი საგანი იყო.

ნინო ჩინჩალაძემ და ნათელა სახოკიამ ეჭვი გამოთქვეს, რომ ინგლისურის B2 დონით ჩარიცხული სტუდენტი მოახერხებდა საქმიანი კომუნიკაციების ინგლისურად სწავლას.

საბჭოს წევრი, მანანა მიქაბერიძე არ დაეთანხმა მათ და აღნიშნა, რომ ეს დონე საკმარისი იყო სპეციალური ლიტერატურის დამუშავებისთვის. ამას გარდა, პროგრამას წაადგებოდა სპეციალიზაციის კურსის ინგლისურად წაკითხვა, რადგან სტუდენტები უკეთ აღიქვამდნენ ტერმინებს და კარგად გამოიყენებდნენ კომუნიკაციაში.

ნათელა სახოკიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს არ იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჯარო მოხელისთვის, მისი შეფასებით, პროგრამას უფრო შინაარსობრივი ნაწილი აკლდა.

საბჭოს წევრი, მანანა მიქაბერიძე, დაინტერესდა სხვა კურსებში, სამაგისტრო ნაშრომის გარდა, თუ იყო გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გარკვეული კურსები, მაგ. შედარებითი ანალიზი, მოიცავდა კვლევით კომპონენტს, რაც წარმოდგენილი იყო პროექტების სახით.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, რატომ დატვირთეს პროგრამა ინგლისური ენით, როდესაც ის კურსები არ იყო პროგრამაში ჩადებული, რაზეც ნათელა სახოკია საუბრობდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ გარკვეული საკითხები იფარებოდა სხვადასხვა კურსში (მაგ. ლიდერობის კურსი), გარდა ამისა, დამსაქმებლებმა ყურადღება გაამახვილეს პრაქტიკულ საჭიროებებზე, ისეთზე, როგორიცაა ელექტრონული მმართველობა, შიდა კონტროლის მექანიზმების ცოდნა და ა.შ. სწორედ ასეთ მოთხოვნებს პასუხობდა აღნიშნული პროგრამა, ხოლო პრობლემები რეგიონებში, ციური დურულის მოსაზრებით მსგავსი იქნებოდა და თავისუფლად შეძლებდა კურსდამთავრებული მიღებული უნარების ტრანსფერს საჭიროების მიხედვით. მან დაამატა, რომ პროგრამის ამუშავების პროცესშიც გამოჩნდებოდა დასახვეწი საკითხები და ისედაც გაითვალისწინებდნენ სოციალური პოლიტიკის სწავლებას.

ნათელა სახოკიამ სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მოუწოდა, კარგი ლექტორი მოეწვიათ და საკმარისი დრო დაეთმოთ ამ საგნის სწავლებისთვის.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ გაურკვეველობა გამოიწვია რეგიონზე აქცენტმა. ციური დურულმა უპასუხა, რომ პროგრამაში არსად არ იყო ნახსენები შიდა ქართლის რეგიონი, უბრალოდ გამოკვლეული იყო ამ რეგიონში არსებული საჯარო სამსახურების საჭიროებები, თორემ პრობლემები სხვა რეგიონებსაც მსგავსი ექნებოდათ.

ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ გასაგები იყო დამსაქმებლების მოთხოვნები, მათ პრობლემები საკუთარი სიტუაციიდან გამომდინარე ექმნებოდათ და მხოლოდ წუთიერი გასაჭირის ჭრილიდან არ უნდა დანახულიყო პროგრამა, რადგან თვითონ საჯარო მმართველობის სფეროს სხვა და უფრო სიღრმისეული გამოწვევები ჰქონდა. პრობლემა კი ინგლისურსა და პროექტების მართვაში კი არა არაპროფესიონალიზმში მდგომარეობდა, რაც ისეთ დამსაქმებელს, რომელიც კარგად მუშაობდა, უნდა სცოდნოდა.

ელიზბარ ელიზბარმა დაზუსტების მიზნით, კიდევ ერთხელ იკითხა, რამდენად მოახერხებდა კურსდამთავრებული მიღებული ცოდნისა და უნარების ტრანსფერს სხვა რეგიონშიც. დაწესებულების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ პროგრამა გადიოდა უფრო ფართო შედეგზე, ვიდრე ერთი რეგიონის პრობლემატიკა. გარდა ამისა, არჩილ აბაშიძემ დაამატა, რომ პროგრამა იმსახურებდა შანსს თავისი კონკრეტული და მიღწევადი მიზნებიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ საჭირო იყო სოციალური პოლიტიკის კურსის დამატება. ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას უნდა შეეტანა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში და აესახა 1 წლის შემდეგ თვითშეფასების წლიურ ანგარიშში. რის შემდეგაც დაინიშნებოდა მონიტორინგი პროგრამაზე და გადამოწმდებოდა, რამდენად გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაციები.



2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	კომპიუტერული მეცნიერება
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	კომპიუტინგის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მანანა ხაჩიძემ და ნანი არაბულმა წარმოადგინეს. მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა, კონკრეტულად ადამიანური რესურსების ნაწილში, 4.2 პუნქტში, სადაც ეწერა, რომ პროგრამაში მონაწილეობდა 16 აკადემიური პერსონალი, იგულისხმებოდა აკადემიური დოქტორი, ანუ, სიტყვა „პერსონალი“ შესაცვლელი იყო „დოქტორით“, საუბარი იყო პროგრამაში ჩართული პირების მიერ მიღებულ ხარისხზე და არა სტატუსზე.

ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მართალია, პროგრამა ხორციელდებოდა მოწვეული პედაგოგების მონაწილეობით, თუმცა უნივერსიტეტში პარალელურად არსებობდა ინფორმატიკის მიმართულებით სხვა პროგრამაც, სადაც იმავე დარგის სპეციალისტები იყვნენ ჩართულნი და საჭიროების შემთხვევაში, ჩანაცვლების პრობლემა არ უნდა დამდგარიყო. ამიტომ, აღნიშნული გარემოება ექსპერტებს ხარვეზად არ მიუჩნევიათ.

გარდა ამისა, მანანა ხაჩიძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მისი კოლეგა იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რის შესახებაც ვიზიტის შეთანხმების დროს ცენტრს აცნობა. გამომდინარე

იქიდან, რომ ექსპერტსა და პროგრამის ხელმძღვანელს შორის არ არსებობდა ურთიერთდაქვემდებარება და სუბორდინაცია, ამასთან, ექსპერტის მხრიდან არ არსებობდა სხვა რაიმე ისეთი გარემოება, რომელსაც შესაძლოა გამოეწვია ინტერესთა კონფლიქტი. და არც ექსპერტს არ ჰქონდა პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერესთა კონფლიქტი, მიზანშეწონილად ჩაითვალა ვიზიტის განხორციელება.

ექსპერტებს აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ ჰქონიათ.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ საბჭოს წევრს, ნანა შათაშვილს, რომელიც ვერ ესწრებოდა სხდომას, ჰქონდა რამდენიმე კითხვა, რაც გამოგზავნილი ჰქონდა ელ. ფოსტის მეშვეობით, ეს კითხვები თავმჯდომარემ გააჟღერა:

პირველი კითხვა შეეხებოდა პროგრამის დამტკიცების პროცედურას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა გაწერილი დოკუმენტი, რის მიხედვითაც მტკიცდებოდა ყოველი პროგრამა. გარდა ამისა, უნივერსიტეტს ჰქონდა ასეთი პოლიტიკა, პროგრამა შეიძლებოდა შემუშავებულიყო ფაკულტეტის ფარგლებშიც და ასევე შემოსულიყო პროექტის სახით გარე დაინტერესებული პირისგან და თუ აღნიშნული პროექტი დაიმსახურებდა მოწონებას, ხდებოდა აკადემიურ საბჭოზე გატანა.

რაც შეეხებოდა წარმოდგენილ პროგრამას, მუშავდებოდა ორი წლის განმავლობაში, მზად იყო წინა აკრედიტაციის დროსაც, უბრალოდ გამოვიდა, რომ პარალელურად ორი თითქმის ერთიდაიგივე პროგრამა მომზადდა ერთ პერიოდში და რადგან ორივეს წარმოდგენა უხერხულობას შექმნიდა, უნივერსიტეტმა პრიორიტეტი სხვა პროგრამას მიანიჭა.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, ამ ეტაპზე თუ მოქმედებდა ინფორმატიკის სხვა საბაკალავრო პროგრამა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხორციელდებოდა სხვა პროგრამაც. თუმცა იმ პროგრამაში არსებობდა გარკვეული საკითხები, რომლებიც გადასამუშავებელი იყო და მასშტაბურ ცვლილებებს საჭიროებდა.

ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ იმ პროგრამაზეც თვითონ იმყოფებოდა ვიზიტზე, ის პროგრამა იყო ნაზავი ორი მიმართულების, ბიზნესინფორმატიკის პროგრამამ იმ ეტაპზე ვერ მიიღო აკრედიტაცია, ამჟამად წარმოდგენილი პროგრამა კი ვიწრო დარგს, კომპიუტერულ მეცნიერებას წარმოადგენდა.

ლიკა გიორგაძემ დაამატა, რომ რეგულარულად ხდებოდა სტუდენტების გამოკითხვა და იმ რეკომენდაციებს, რაც მათ ჰქონდათ, უკვე არსებული პროგრამა ვერ შეითვისებდა. გარდა ამისა, სტუდენტებს სურდათ დამატებითი პროგრამის ათვისების საშუალება ჰქონოდათ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რამდენი ადამიანი იყო ჩართული ორივე პროგრამაში. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მაქსიმუმ 4 პირი იყო საერთო ამ პროგრამებზე და არცერთი ამათგან არ იყო აკადემიური პერსონალი, დანარჩენი ახალი კადრებით დააკომპლექტეს.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რითი იყო განპირობებული, რომ უნივერსიტეტი აპირებდა მსგავსი კვალიფიკაციის ორი პროგრამის განხორციელებას ერთ ფაკულტეტზე. ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ არ გამორიცხავდა რომ დღეს მოქმედი პროგრამა შესაძლებელია გადასულიყო მიღევად რეჟიმში, თუმცა იგი არ იყო ამ გადაწყვეტილების მიმდებარე. ახალი პროგრამის გახსნის საჭიროება განაპირობა სტუდენტების რეკომენდაციებმა. მათი მოთხოვნები სცილდებოდა არსებული პროგრამის მოდიფიცირების ფარგლებს და მოითხოვდა მნიშვნელოვან ცვლილებებს..

მანანა ხაჩიძემ დაამატა, რომ ამჟამად წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაში იყო საერთაშორისო კლასიფიკატორის სქემასთან, რაც არეგულირებდა სფეროს. მეორე პროგრამა კი ზოგადი ხასიათის იყო, მხოლოდ მათემატიკური საგნები იყო მსგავსი ამ ორ პროგრამაში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, არსებული სტუდენტებს თუ შეექმნებოდათ პრობლემა ამის გამო. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ კრედიტების რაოდენობა ჩათვლებოდათ სტუდენტებს, გარდა ამისა, კონსულტირების მექანიზმი არსებობდა და სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, მოახდენდნენ რეაგირებას.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს კითხვით მიმართა, რამდენად მდგრადი იყო პროგრამა, რომელიც მოწვეულ სპეციალისტებზე იყო დამოკიდებული, მითუმეტეს როდესაც საქმე ეხებოდა საბაკალავრო საფეხურს.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ 4 პროფესორი კითხულობდა საგნების უმეტესობას, აქედან ორი იყო ადგილობრივი, დანარჩენებს კი თითო-თით საგნის წაკითხვა პრობლემას არ შეუქმნიდა. ლიკა გიორგაძემ დაამატა, რომ ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ფარგლებში, საჭირო გახდებოდა აფილირების საკითხზე მუშაობაც, რასაც განიხილავდნენ უნივერსიტეტში და გაივლიდნენ შესაბამის კონსულტაციებს ცენტრთან.

საბჭოს წევრებმა კითხვით მიმართეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, ფაკულტეტზე თუ იყო გასული აღნიშნული პროგრამის დამტკიცების საკითხი და თუ თანახმა იყვნენ მეორე პროგრამის შემოტანაზე. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ფაკულტეტზე განხილული და მოწონებული იყო ახალი პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

აცილების მიზეზით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია ლევან გორდეზიანს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ უხერხულობას ქმნიდა ორი ანალოგიური პროგრამის არსებობა ერთი ფაკულტეტის ფარგლებში. ელიზბარ ელიზბარაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ პროგრამას არ შეექმნებოდა პრობლემა მოწვეული ლექტორების გამო და შეძლებდნენ პერსონალის შენარჩუნებას.

16:23 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

სხდომა 16:47 საათზე განახლდა.

3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ქართული ფილოლოგია
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ქართული ფილოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა რამაზ ქურდაძემ და ნინო ბალანჩივაძემ წარადგინეს. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ექსპერტთა შენიშვნები:

- უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროგრამაში კომპონენტების თანმიმდევრობა/თანაფარდობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მეტნაკლებად ლოგიკურად განპირობებულია, თუმცა ქართული ენისა და ლიტერატურის კუთხით შესაბამისი კვალიფიკაციის მიღებისათვის, აუცილებელია ძირითადი საგნების ნუსხაში ენისა და ლიტერატურის პროფილის მიხედვით განისაზღვროს ცვლილებები:

1. ძირითადი საგნების ნუსხაში შეტანილია „ქართული ზმნა“, მაგრამ არ არის წარმოდგენილი ქართული ენის კურსის სხვა ნაწილები: ფონეტიკა, სახელი და სინტაქსი. შესაბამისად, აუცილებელია ქართული ენის კურსის ამ ნაწილების გათვალისწინება.

2. მიზანშეწონილია ზოგადი საენათმეცნიერო საგნები („ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიები და ძირითადი ტენდენციები“, „კულტუროლოგიური ლინგვისტიკა“, „ენობრივი პოლიტიკის საკითხები“) განისაზღვროს არჩევით საგნებად. ძირითადი საგნების ნუსხაში კი არჩევითი საგნების ნუსხიდან გადმოტანილ უნდა იქნას „ქართული სალიტერატურო ენის

ნორმალიზაციის ძირითადი პრობლემები“, რადგან ეს საგანი აღნიშნული პროგრამის პროფილის უშუალოდ შემადგენელი ნაწილია. აღნიშნული საგნის სწავლებით სტუდენტები ეუფლებიან თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საფუძვლებსა და აქტუალურ საკითხებს, რომლის ცოდნაც აუცილებელია ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის.

3. ძირითადი საგნების ნუსხაში ქართული ლიტერატურის კორპუსის სწავლების სრულყოფის თვალსაზრისით, უნდა დაემატოს უახლესი (XX-XXI საუკუნეების მიჯნის) ლიტერატურა, ფოლკლორი და რომელიმე სალიტერატურო კურსი კლასიკური ფილოლოგიის (ბერძნულ-ბიზანტიური) მიმართულებიდან, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზნის, მაღალკვალიფიციური მაგისტრის მომზადებას ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რადგან XX-XXI საუკუნეების მიჯნის ქართული ლიტერატურის, ფოლკლორისა და კლასიკური ფილოლოგიის (ბერძნულ-ბიზანტიური) რომელიმე კურსის სწავლების გარეშე ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

4. არჩევითი საგნებიდან და საერთოდ პროგრამიდან ამოსაღება „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლები“, რადგან ეს საგანი არ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. აღნიშნული საგანი ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის შემადგენელი ნაწილია და არა - ქართული ფილოლოგიისა.

- თითოეული სასწავლო კურსის დაგეგმვისას, შინაარსიდან გამომდინარე, სწავლების მეთოდები და მოცულობა შერჩეულ იქნა მისაღწევი სწავლის შედეგების მიხედვით. ამიტომ, სწავლების მეთოდები და კრედიტების რაოდენობა სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისია და ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგზე გასვლას. თუმცა, პროგრამის სასწავლო კურსმა რომ უზრუნველყოს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა, აუცილებელია ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინება:

1. სასურველია დაზუსტდეს ზოგიერთი კურსის სახელწოდება: კერძოდ, „დიალექტოლოგიას“, საგნის შინაარსიდან გამომდინარე, ეწოდოს „ქართული დიალექტოლოგია“. ამასთანავე, ამავე კურსის ძირითადი ლიტერატურიდან (საგანმანათლებლო რესურსი) სასურველია, ამოღებული იყოს ისეთი გამოცემა, როგორიც არის „სვანური ტექსტები და ლექსიკა ბალსხემოური კილო“, (შემდგ. ჩართოლანი ნ. 2003 წ.), რადგან აღნიშნული გამოცემა არ შეესაბამება ამ საგნის შინაარსს. ამასთანავე, ამ საგნის ლიტერატურა სასურველია უფრო შევსებული სახით იქნას წარმოდგენილი.

2. „ენისა და კულტურის ციფრული დოკუმენტირება“ საინტერესო და მნიშვნელოვანი საგანია, თუმცა საგნის მიზნებში ვკითხულობთ, რომ აღნიშნული საგანი უზრუნველყოფს ენათა დიგიტალური (ციფრული) დოკუმენტირების და არქივირების თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების და ლინგვისტური ანოტირების სახეების გაცნობას, ემპირიულ მასალად კი იყენებს ქართულ და სხვა ქართველურ, ზეპირ (უმწერლობო) ენებს. უნდა აღინიშნოს, რომ ზეპირი უმწერლობო ქართველური ენების (მეგრულის, ლაზურის, სვანურის) სწავლება ამ პროგრამით არ არის განსაზღვრული და ამ ენათა მასალის ემპირიულ ნაწილში ჩართვა დაუშვებელია. ზემოაღნიშნული კურსის სწავლების დროს აუცილებელია ემპირიულ მასალად გამოყენებულ იქნას მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის ნიმუშები;

3. სასურველია სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურა შეივსოს, ეს განსაკუთრებით ეხება იმ კურსებს, რომელთაც მხოლოდ ძირითადი ლიტერატურა ახლავს. სასურველია, ზოგიერთი საგნის ძირითადი ლიტერატურა შეივსოს იმ გამოცემებით, რომლებიც ქართულ ემპირიულ მასალას იხილავს. მაგ.: „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“. ასეთი ლიტერატურის ჩართვა ცხადყოფს ამ სფეროში საქართველოში არსებული კვლევის დონეს, წარმოაჩენს პერსპექტივებს და მსმენელს გაუზრდის მოტივაციას ამ მიმართულებით მუშაობისათვის.

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, განათლება და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას, თუმცა სილაბუსებთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ სილაბუსთა უმეტესობას მიწერილი აქვს მხოლოდ საგნის კურატორი და არა ის, ვინც რეალურად ადგენს და კითხულობს კურსს. ასეთ შემთხვევაში რთულია იმის გარკვევა, კონკრეტულად ვინ კითხულობს ამა თუ საგანს, რაც ართულებს საგნის წამკითხველის კომპეტენციის შესაბამისობის დადგენას წასაკითხ კურსთან. პროგრამის ხელმძღვანელმა ადგილზე წარმოგვიდგინა პროგრამის განმახორციელებელთა სია შესაბამისი საგნების მიხედვით, მაგრამ აუცილებელია საგნის წამკითხველი მითითებული იყო სილაბუსში საგნის კურატორთან ერთად. ეს იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კურატორი არსებობს პროგრამაში, თუ არა, კურატორის გარეშე კურსის ავტორის მითითება სავსებით საკმარისია.

- სამაგისტრო დონეზე პროგრამაში მოცემული ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსებისთვის 6-6 კრედიტის მინიჭება გარკვეულად ხელოვნურ ელფერს იძენს და კარგავს მის უშუალო დანიშნულებას.

- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულების თანახმად, საკონსულტაციო საათები ყოველკვირეულად მოიცავს მინიმუმ ორ საათს. სასურველია, ეს ინფორმაცია სილაბუსებშიც იყოს ასახული.

- სამაგისტრო პროგრამებში სასურველი იქნება საველე პირობებზე ორიენტირებული კომპონენტი (პრაქტიკის, სტაჟირების სახით) ცალკე გამოიყოს 120 კრედიტიდან, ანუ უფრო მოქნილი, რომ იყოს მაგისტრატურისთვის აუცილებელი სწავლის/კვლევის/პრაქტიკის თანაფარდობა.

თავმჯდომარემ, უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

პროგრამის ხელმძღვანელი, ნანა შავთვალაძე საბჭოს წინაშე წარდგა წერილობითი პასუხით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში, მადლობას მოახსენებდა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. ვიზიტის მსვლელობისას მათ სავსებით მართებულად აღნიშნეს, რომ ჩვენს პროგრამას მოცემულ მომენტში ანალოგი არ აქვს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. მოგეხსენებათ, ქართული ფილოლოგიის ყველა არსებული პროგრამა იძლევა ვიწრო დარგობრივ ცოდნას კონკრეტული მიმართულებით, ევროპულ სივრცეში კი დიდი ხანია, ფილოლოგია არა მარტო საბაკალავრო, არამედ სამაგისტრო საფეხურზეც კომპლექსური სახით ისწავლება და წარმოდგენილი პროგრამის შექმნის ერთი მიზანიც ქართულ სინამდვილეში ევროპულ მიდგომათა დამკვიდრების სურვილი გახლდათ.

ამასთან, დაწესებულების მიზანი იყო, გარკვეული წვლილი შეეტანა ქვეყანაში არსებული ვითარების გამოსწორებაში. მასწავლებელთა გამოცდების შედეგები ადასტურებდა, რომ სკოლაში შესულ პედაგოგს სჭირდებოდა, როგორც ენის, ისე ლიტერატურის კარგი ცოდნა. სწორედ ამიტომ შეეცადა უნივერსიტეტი შეექმნა ისეთი პროგრამა, რომელშიც პარიტეტის პრინციპს დაიცავდა და მოამზადებდა ფართო სპექტრის სპეციალისტებს, რომლებიც კომპეტენტური იქნებოდნენ, როგორც ენის, ისე - ლიტერატურის საკითხებში.

რაც შეეხება ექსპერტთა კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს მათი ნაწილის გაზიარება. კერძოდ,

1. ექსპერტთა აზრით, რაკი პროგრამაში არის საგანი „ქართული ზმნა“, ამიტომ აქ „ქართული ენის კურსის სხვა ნაწილებიც: ფონეტიკა, სახელი და სინტაქსი“ უნდა იყოს. ქართული ენის ყველა ნაწილი: ფონეტიკა, სახელი, სინტაქსი და, ბუნებრივია, მათ შორის, ქართული ზმნაც ჩვენი პროგრამის პოტენციურ სტუდენტებს (პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ხარისხი ქართულ ფილოლოგიაში) ბაკალავრიატის დონეზე უკვე ნასწავლი აქვთ და მისი გამეორება სამაგისტრო პროგრამაში მიზანშეწონილად არ ჩათვალეს.

რაც შეეხება საგანს „ქართული ზმნა“, რეალურად მისი მეშვეობით ისწავლებოდა ქართული წინადადების მორფო-სინტაქსურ სტრუქტურა. სილაბუსის შინაარსის გაცნობისას ექსპერტებმა თავადაც აღნიშნეს, რომ ეს არის სამაგისტრო დონისთვის რელევანტური საგანი, თუმცა მისი არსის სრულყოფილად წარმოსაჩენად სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსის სახელწოდების დაზუსტება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროსვე გაითვალისწინეს ეს მოსაზრება და სახელწოდება „ქართული ზმნა“ შეცვალეს სახელწოდებით - „ქართული წინადადების მორფო-სინტაქსური სტრუქტურა“;

2. რაც შეეხება იმ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა „კომუნიკაციური ლინგვისტიკის“ სილაბუსში ნინო შარაშენიძის ნაშრომის დამატებას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლინგვისტიკა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გრამატიკა და რომ ლინგვისტიკას ვერ ასწავლიდნენ გრამატიკის სახელმძღვანელოთი. ამდენად, დაწესებულებას მიაჩნდა, რომ დასახელებული კურსისათვის ეს ნაშრომი ნაკლებად რელევანტური იყო, თუმცა სილაბუსის ავტორმა, მაკა ჩხეიძემ ვიზიტის დროს ექსპერტებთან საუბარში მზაობა გამოხატა ამ ნაშრომის დამხმარე ლიტერატურის ნუსხაში დამატებასთან დაკავშირებით და ეს უკვე შესრულებული იყო;

3. დაწესებულება არ ეთანხმებოდა ერთ-ერთი რეკომენდაციის ფორმულირებას, კერძოდ: „სასწავლო კურსმა რომ უზრუნველყოს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა, აუცილებელია... დაზუსტდეს ზოგიერთი კურსის სახელწოდება: კერძოდ, „დიალექტოლოგიას“ ეწოდოს „ქართული დიალექტოლოგია“. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის ფიქრობდა, რომ თუ აღნიშნულ სასწავლო კურსს ერქმევა „დიალექტოლოგია“, ვერ შეძლებდა „დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის“. თუმცა, როცა ვიზიტის დროს ექსპერტმა ეს იდეა გააჟღერეს, დაწესებულება მას დაეთანხმა. ამასთან, ექსპერტების ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ამ სასწავლო კურსის სილაბუსიდან ნ. ჩართოლანის წიგნის - „სვანური ტექსტები და ლექსიკა. ბალსზემოური კილო“ - ამოღება. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში დამტკიცებული იყო ტექნიკური შეცდომა, არასწორად იყო გამიჯნული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. ცხადია, ამ ნაშრომის ადგილი არ იყო ძირითად ლიტერატურაში და ის გადავიდა დამხმარე ლიტერატურის ნუსხაში.

4. ასევე, დაწესებულების მოსაზრებით მათთვის არ იყო მისაღები შემდეგი რეკომენდაციის ფორმულირება: პროგრამით „დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის“ აუცილებელია არჩევითი საგანი „ენისა და კულტურის ციფრული დოკუმენტირება“ ნაცვლად ქართველური ენების (მეგრულ/ლაზურ/სვანური) მონაცემებისა, აიგოს მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის ნიმუშებზე. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, ვერცერთი არჩევითი საგანი ვერ ახდენს გავლენას პროგრამის მიზნებსა და საბოლოო შედეგებზე. შესაბამისად, ეს არც აისახებოდა პროგრამაში. მეორეც, როდესაც დაწესებულებამ ამ საგნის არჩევით კურსად პროგრამაში შეტანა გადაწყვიტა, ორი მოსაზრებით იხელმძღვანელა: ჯერ ერთი, კურსი ფასეულია სტუდენტის თანამედროვე კვლევითი უნარის გააქტიურების თვალსაზრისით, მეორეც, მთავარია სტუდენტი ფლობდეს გამოყენებითი კვლევების, ამ შემთხვევაში - ციფრული დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდს და რომელ ემპირიულ მასალასაც მოისურვებს, მერე იმას დაამუშავებს. თუმცა, დაწესებულება იფიქრებდა აღნიშნული რეკომენდაციის გაზიარებაზე და არ იყო გამორიცხული, რომ სილაბუსი გონივრულ ვადებში გადამუშავებულიყო და პროგრამაში ჩადებულიყო მისი ახალი, ვერსია. იგივე შეიძლებოდა თქმულიყო კიდევ ერთი არჩევითი კურსის „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლების“ შესახებ.

5. დაწესებულება ვერ გაიზიარებდა ექსპერტის რეკომენდაციას, რომ „ქართული ენისა და ლიტერატურის კუთხით შესაბამისი კვალიფიკაციის მიღებისათვის“ პროგრამის უმნიშვნელოვანესი საგნები: „ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიები და ძირითადი

ტენდენციები“, „კულტუროლოგიური ლინგვისტიკა“ და „ენობრივი პოლიტიკის საკითხები“ უნდა გადატანილიყო არჩევით კურსებად. ყველასათვის ცნობილია, რომ ენა კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ევროპულ სივრცეში ყველა წამყვანი უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაში არის ამ ტიპის საგნები. როგორც ჩვენთვის ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც იკითხება საგანი „ტექსტი და კულტურა“. შესაბამისად, პროგრამაში სწორედ ზემოხსენებული საგნების არსებობა უზრუნველყოფს იმ კომპეტენციათა გამომუშავებას, რომლებიც ფილოლოგს უსათუოდ უნდა გააჩნდეს კულტურათა დიალოგის თვალსაზრისით;

6. ასევე, ექსპერტთა რეკომენდაციებში მითითებული იყო, რომ არჩევითი კურსი „ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითადი პრობლემები“ აუცილებლად უნდა გადასულიყო ძირითადი საგნების ნუსხაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, როგორც ვიზიტის დროს ექსპერტებს დაწესებულების მხრიდან განემარტათ, პროგრამის მსმენელებად ძირითადად საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იქნებოდნენ. შესაბამისად, რაკილა მათ ბაკალავრიატში ოთხ საფეხურად დაწვრილებით ჰქონდათ შესწავლილი „ქართული ენა 1,2,3,4“; გარდა ამისა, გავლილი ჰქონდათ „ქართული ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის“ და სურვილის შემთხვევაში ასევე მოსმენილი ექნებოდათ „რიტორიკის“ კურსები, რომლებშიც დიდი დოზითაა ნორმალიზაციის საკითხებთან დაკავშირებული მასალა, საჭიროდ აღარ ჩათვალეს „ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითადი პრობლემები“ ყოფილიყო სავალდებულო საგანი. არჩევითად იგი გათვალისწინებულია ისეთი მსმენელისათვის, რომელიც სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მოვა და არ ექნება სათანადო საბაზისო ცოდნა ან საქართველოს უნივერსიტეტის იმ ბაკალავრისთვის, რომელიც მოისურვებდა კიდევ ერთხელ გაეცლო ეს საკითხები უკვე კონცენტრირებული ერთი კურსის სახით.

7. დაწესებულება ვერ გაიზიარებდა ექსპერტთა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „ძირითადი საგნების ნუსხაში ქართული ლიტერატურის კორპუსის სწავლების სრულყოფის თვალსაზრისით უნდა დამატებოდა (XX-XXI საუკუნეების მიჯნის) ლიტერატურა. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სალექციო კურსი „ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციების (XX საუკუნე)“ მოიცავდა ო. ჩხეიძის, გ. დოჩანაშვილის, ბ. ხარანაულის, ჯ. ქარჩხაძის და სხვა ქართველ ავტორთა შემოქმედებას, სულ ბოლოს კი ქართულ პოსტმოდერნიზმზე იყო საუბარი (ზ. ქარუმიძე, ა. მორჩილაძე, ნ. გელაშვილი და ა. შ.). ხოლო თუ ამ ავტორების გარდა ექსპერტებს კიდევ ეგულებოდათ XX-XXI საუკუნეების მიჯნის ისეთი ავტორი, რომლის შემოქმედების შესწავლის გარეშე დაწესებულება ვერ შეძლებდა მაღალკვალიფიციური მაგისტრის მომზადებას, დაესახელებინათ და დიდი სიამოვნებით შეიტანდნენ სილაბუსში;

8. რაც შეეხება კურიკულუმში „ფოლკლორს“ და კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებიდან სალიტერატურო კურსების შეტანას, ჯერ ერთი, როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამის სამიზნე ჯგუფი ძირითადად უნივერსიტეტის ბაკალავრები იქნებოდნენ, მათ კი საბაკალავრო პროგრამაზე გავლილი ექნებოდათ „ქართული მითოლოგია და ფოლკლორი“, ისევე, როგორც, სავარაუდოდ, ყველა სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მოსულ ქართული ფილოლოგიის ბაკალავრს. საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებს შესთავაზეს ახალი, საინტერესო კურსი „ქართული მითოლოგია და საიტორიო ზეპირსიტყვიერება“ და თვლიდნენ, რომ საგნის მოსმენამ კვლევისათვის სრულიად ახლებური პერსპექტივები შეიძლება დაუსახოს სტუდენტს. რაც შეეხება, კლასიკური ფილოლოგიიდან კურსების შეთავაზებას, დაწესებულების პროგრამა არ იყო ორიენტირებული კლასიკურ ფილოლოგიაზე და ყველა იმ სტუდენტს, რომელსაც ეს პრობლემატიკა აინტერესებდა, ძალიან კარგ სამაგისტრო პროგრამას სთავაზობს თსუ, ხოლო საბაკალავრო

დონეზე დაწესებულების სტუდენტები ისმენენ ვალერი ასათიანის სალექციო კურსებს - „ბიზანტიური ცივილიზაცია“ და „ანტიკური კულტურის საფუძვლები“;

9. ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა კურატორის ინსტიტუტთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რადგან ვიზიტის დროს საკმაოდ დაწვრილებით განემარტათ ექსპერტებს, თუ რა ფუნქცია და უფლებამოსილება გააჩნდა უნივერსიტეტში კურატორს. კერძოდ, იგი მუშაობდა სილაბუსის ავტორთან ერთად და პასუხისმგებელი იყო, რომ სილაბუსის ფორმატი ზუსტად ყოფილიყო შესაბამისობაში უნივერსიტეტის შინაგანაწესით მიღებულ ფორმატს, შეფასების სისტემა იყოს თუ არა ადეკვატური და შინაარსობრივად არ მომხდარიყო ე.წ. „გადაფარვა“. თუმცა, მაინც გაითვალისწინა დაწესებულებამ ექსპერტების მოსაზრება და ყველა სილაბუსში მივუთითეთ მხოლოდ ავტორი;

10. რაც შეეხება ყველა საგნისთვის 6 კრედიტის მინიჭებას, დაწესებულება ვერ გაიზიარებდა ამ საკითხზე ექსპერტთა რეკომენდაციას, რადგან პრაქტიკულად ყველა უმაღლესი სასწავლებელი აკრედიტაციის სტანდარტების გათვალისწინებით და მასთან შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების წესთან დაკავშირებით და საქართველოს უნივერსიტეტიც არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი. უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად, საქართველოს უნივერსიტეტში სტანდარტული საგნები 6 კრედიტიანი იყო, მაგალითად, თსუ-ში საგნები ძირითადად 5 კრედიტიანი იყო და ეს იმ უნივერსიტეტის არჩევანს წარმოადგენდა;

11. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამისთვის სავსე პრაქტიკის საკითხი აქტუალური არ იყო. თუკი მომავალში საჭიროდ მიიჩნევა დაწესებულება პროგრამის გადამუშავებას, მოდულების შექმნას და ა. შ., გამორიცხული არ იყო, რომ ეს გარემოებაც გათვალისწინებული ყოფილიყო;

12. რაც შეეხებოდა ზოგადად ლიტერატურის შევსების საკითხს, ცხადია აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის შევსება იყო პერმანენტული და დაუსრულებელი პროცესი და ცხადია, რომ ამ მხრივ არც საქართველოს უნივერსიტეტი იქნებოდა გამონაკლისი.

რამაზ ქურდაძემ განაცხადა, რომ როგორც ქართული ენისა და დიალექტოლოგიის ექსპერტი დარწმუნებული იყო, რომ სათაურის შეცვლა კურსში ვერ აღმოფხვრიდა პრობლემას. შერჩეული სათაური არ მოიცავდა იმ საჭირო საკითხებს, როგორც იყო მორფოლოგია და სინტაქსი. გარდა ამისა, მისთვის გაუგებარი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამაში მეგრულ-ლაზური გრამატიკის სწავლება. რამაზ ქურდაძემ დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტების ნებისმიერ რეკომენდაციას ხვდებოდა განსაკუთრებული სიჯიუტე უნივერსიტეტის მხრიდან. ნინო ბალანჩივაძემ დაამატა, რომ ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტიც იყო და ხედავდა პრობლემას, რაც მასწავლებლებს ჰქონდათ. ეს პრობლემა გამოიხატებოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების გაგებაში, ახალი და უახლოესი ლიტერატურის გამიჯვნაში. მისი თქმით, სწორედ ამ საჭიროებისკენ იყო მიმართული ექსპერტების რეკომენდაციები და შენიშვნები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ სამართლებრივად, კვალიფიკაცია ეჭვქვეშ ვერ დადგებოდა, რადგან ექსპერტებს საუბარი ჰქონდათ მთლიანად არჩევით საგნებზე, რაც ვერ იქნებოდა პროგრამის მიზნების განმსაზღვრელი. რამაზ ქურდაძემ აღნიშნა, რომ პროგრამას აკლდა ძირითადი კომპონენტები მაშინ, როცა არჩევითი კურსები საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, რამაზ ჭილაიამ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიუთითა პროგრამის ერთ-ერთ შედეგზე - „კურსდამთავრებულს ექნება ქართული ლიტერატურული პროცესის სწორი ინტერპრეტაციის ცოდნა“. მან კითხვით მიმართა პროგრამის წარმომადგენელს, რას ნიშნავდა სწორი ინტერპრეტაციის ცნება. ნანა შავთვალაძემ აღნიშნა, რომ ეს გულისხმობდა

ავტორის მიზნის სწორად განსაზღვრას. სტუდენტს უნდა დაენახა პროცესი, რა ხდებოდა ისტორიულად ლიტერატურაში სხვადასხვა საუკუნეში, რა ახდენდა გავლენას ცვლილებებზე და საით მიდიოდა პროცესი. რამაზ ჭილაიამ აღნიშნა, რომ დასახვეწი იყო ფორმულირება და ასევე, დაამატა, რომ ეთანხმებოდა უნივერსიტეტს მიდგომაში - ესწავლებინა დამწერლობის არმქონე ენები. რამაზ ქურდაძემ განაცხადა, რომ როდესაც ქართული ენის კურსები ჯეროვნად არ იყო პროგრამაში წარმოდგენილი, სხვა არჩევით საგნებზე ყურადღების გამახვილება არ იყო მართებული.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაეთანხმა ექსპერტებს, რომ სილაბუსებში მითითებული უნდა ყოფილიყო კურსის განმახორციელებელი პირის შესახებ ინფორმაცია. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს საკითხი უკვე გამოსწორებული იყო.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ იმით აპელირება, რომ უნივერსიტეტს ბაკალავრიატის პროგრამაზე ჰქონდა გათვალისწინებული გარკვეული საკითხები, არ იყო მიზანშეწონილი, რადგან შესაძლოა სხვა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ჩარიცხულიყვნენ აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გათვლა მხოლოდ საკუთარ სტუდენტებზე არ ჰქონდათ, მაგრამ არსებობდნენ სტუდენტები, ვინც ამ პროგრამის მოლოდინში, სხვა მომიჯნავე პროგრამებზე ჩააბარეს, რათა მერე მობილობით გადასულიყვნენ აღნიშნულ პროგრამაზე. ამასობაში კი გადიოდნენ ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებს, რათა პრობლემა არ შექმნოდათ კრედიტების აღიარების კუთხით.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტებს ეთანხმებოდა ფოლკლორთან დაკავშირებულ რეკომენდაციაში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ კვლევითი კომპონენტით. პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ბევრ კურსში იყო გათვალისწინებული მცირე კვლევის ჩატარება და რეფერატის მომზადება, გარდა ამისა, ამ მიზანს ემსახურებოდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაწესებულებას მოუწოდა, გაეთვალისწინებინათ ექსპერტების რეკომენდაცია არჩევით საგნებთან (პერმანენტულად დაემატებინათ სხვა დიალექტებიც) დაკავშირებით და აესახათ თვითშეფასების ანგარიშში. მიზანშეწონილი იყო, ცენტრს გადაემოწმებინა რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხი.

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ფარმაცია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფარმაციის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა თამარ გაიხარაშვილმა წარმოადგინა, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებდა მსგავს პროგრამას ინგლისურ ენაზე. ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იყო, შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის და დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის მინიმუმ 5-დღიანი ინტერვალის შესახებ ინფორმაცია ასახულიყო სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- მეტი გამჭვირვალობისა და ინფორმაციულობის მიზნით, სასურველი იქნებოდა, სილაბუსებში შეფასების სისტემის ჩაშლა, კერძოდ მითითება, თუ რა კრიტერიუმით მოხდებოდა თითოეული კომპონენტის შეფასება, შეფასების ჯერადობა და ქულების გრადაცია. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ ამ ინფორმაციას სტუდენტი იღებდა პირველ მეცადინეობაზე პედაგოგისგან და ასევე ელექტრონული სისტემის საშუალებით, სადაც შეფასების სისტემა წარმოდგენილი იყო შაბლონების სახით, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. ვიზიტის

დროს შაბლონის საბოლოო სახით ნახვა ვერ მოხერხდა, ჯანდაცვის სკოლის დირექტორის მხოლოდ მის ნაწილთან წვდომის უფლებამოსილებიდან გამომდინარე.

- მიზანშეწონილი იყო სასწავლო კურსების წინაპირობების კორექტირება, კერძოდ, სასწავლო კურსის „ჯანდაცვის მენეჯმენტის საფუძვლები“ წინაპირობების გრაფაში მითითებული იყო „ინგლისური ენა 6“ თანაპირობის სახით, თუმცა ის შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ წინაპირობა, რადგან ისწავლებოდა მეოთხე სემესტრში, აღნიშნული საგანი კი მეექვსე სემესტრში. სასწავლო კურსის „ადამიანის ფიზიოლოგია“ (მეოთხე სემესტრი) წინაპირობების გრაფაში კი თანაპირობად წარმოდგენილი იყო „ადამიანის ანატომია“, რაც ასევე უნდა ყოფილიყო წინაპირობა, გამომდინარე იქიდან, რომ ისწავლებოდა პირველ სემესტრში და ადამიანის აგებულების შესახებ ცოდნის გარეშე მისი ორგანოთა სისტემების ნორმალური ფუნქციონირების შესწავლა შეუძლებელი იქნებოდა.

- სასწავლო კურსის „სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა“ თანაპირობას წარმოადგენდა „ადამიანის ფიზიოლოგია“. სასურველი იქნებოდა, აღნიშნულ სასწავლო კურსს წინ გაესწრო და ყოფილიყო „ადამიანის ფიზიოლოგიის“ წინაპირობა, რადგან ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე მრავალი ფიზიოლოგიური პროცესის შესასწავლად სავალდებულო იყო აეროდინამიკის, ჰიდროდინამიკის და ა.შ. ფიზიკის კანონების ცოდნა.

- მიზანშეწონილი იქნებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაში დაზუსტებულიყო ჩანაწერი, რათა უზრუნველყოფილიყო პროგრამაზე შესაბამისი ცოდნისა და უნარების აპლიკანტების მოზიდვა ან სასწავლო კურსების სილაბუსებში ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურა მითითებულიყო სავალდებულოდ, ხოლო ინგლისურენოვანი ლიტერატურა გადასულიყო დამატებით ლიტერატურაში, ან მომზადებულიყო შესაბამისი „რიდერები“ ქართულ ენაზე.

- სასურველი იყო, კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდებში შეფასების სისტემაში დაზუსტებულიყო დეფინიციები და შეფასების კრიტერიუმები (მაგ. რას მოიცავს ლაბორატორიული სამუშაო და სხვ.)

- მიზანშეწონილი იყო დაკორექტირებულიყო უცხო ენების (ინგლისური ენა) სასწავლო კურსების მიზანი, ან სილაბუსში, შინაარსის ნაწილებში ჩამატებულიყო ფარმაციათა და დაკავშირებული საკითხები, ვინაიდან კურსის მიზანი მოიცავდა დარგობრივ ასპექტებს.

- რიგ შემთხვევაში, სასწავლო კურსებში (ადამიანის ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია და სხვა), მიზანშეწონილი იყო სილაბუსების ადაპტირება და ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო - ტექნიკური საკითხები გასწორდა, ქართულენოვანი ლიტერატურა დაემატა სილაბუსებს, შეფასების სისტემასთან დაკავშირებით კი გადაწყვიტეს, რომ ვებგვერდზე დეტალურად აღეწერათ შუალედური შეფასების კომპონენტებიცა და კრიტერიუმებიც.

რაც შეეხებოდა ლიტერატურას, დამსაქმებლების მოსაზრებაც ასეთი იყო, რომ კვალიფიკაციის ასამაღლებლად აუცილებელი იქნებოდა კოლაბორაცია საზღვარგარეთ, ამიტომ უნდა ჰქონოდათ სტუდენტებს იმის საფუძვლები, რომ ლიტერატურა წაეკითხათ ინგლისურად. ამ მიზნისთვის, ისე იყო აგებული პროგრამა, რომ პირველი ორი სემესტრი მთლიანად ქართულენოვან ლიტერატურას მოიცავდა, თანდათან კი, ინგლისური ენის შესწავლის პარალელურად, დაემატებოდა ინგლისურენოვანი მასალებიც.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა ლაბორატორიული ბაზით. ექსპერტმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რასაც უნივერსიტეტი ვერ ფარავდა საკუთარ სივრცეში, კომპანია ჯიემპისთან დადებული მემორანდუმით იყო უზრუნველყოფილი.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა მოუწოდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომ კარგი იქნებოდა, თუ კლასიკურ ანალიზის მეთოდებთან ერთად ასწავლიდნენ თანამედროვე ანალიზის (ქრომაროგრაფია, სპექტრომეტრია და ა.შ.) მეთოდებსაც. რადგან, სამწუხაროდ, ქართული ფარმაცევტული ბაზარი მხოლოდ წამლის გამყიდველს ითხოვდა, ხოლო უცხოეთში პრობლემა შეექმნებოდათ მათ, ვისაც არ ეცოდინებოდა თანამედროვე ანალიზის მეთოდები. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს დაწესებულების წარმომადგენლებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

17:59 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

18:09 საათზე სხდომა გაგრძელდა.

5. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ ინფორმაციას ხარვეზების გამოსწორების შესახებ. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა და დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხარვეზების გამოსწორების შესახებ დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა უკვე განხილული იყო საბჭოს მიერ 2 ივნისის სხდომაზე, რის შედეგადაც, საბჭომ გადაწყვიტა, უნივერსიტეტისთვის მიეცა ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

ექსპერტმა ჯგუფს ლილი ხეჩუაშვილი და თინათინ ჭინჭარაული წარმოადგენდნენ. ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ საბოლოოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ექსპერტმა შენიშვნები გათვალისწინებული და გამოსწორებული იყო. ექსპერტებს არ ჰქონდათ მეტი რეკომენდაცია, პროგრამა აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. ერთადერთი საკითხი იყო ტექნიკური გაუგებრობა, კერძოდ ერთ სილაბუსში მითითებული მასალა სხვა ავტორის სახელითა და გვარით იყო წარმოდგენილი და როდესაც ამ ავტორთან მოხდა დაზუსტება, აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის ხელთარსებული სახელმძღვანელო იყო მისი სტუდენტის ნამუშევარი, რის შესახებაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ვერ ექნებოდათ ინფორმაცია. ექსპერტმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმართა, რომ მათ შეეძლოთ დაკავშირებოდნენ ამ ავტორს და ის მიაწვდიდა საკუთარ ნაშრომს.

უნივერსიტეტის ვიცე რექტორმა, გიორგი ცხვედიანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, აღნიშნა, რომ გამოაცხადეს კონკურსი და დამატებით აიყვანეს რამდენიმე კადრი. ლიტერატურა შეაფასეს და გამოიკვლიეს ინგლისური ენის ცოდნის დონე და შეიტანეს ინგლისურენოვანი ლიტერატურა. გიორგი ცხვედიანმა ასევე განაცხადა, რომ ექსპერტების რეკომენდაციები

მსუბუქი არ იყო, მაგრამ არც გაუკეთებელი. შესაბამისად, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გამოასწორა.

ლილი ხეჩუაშვილმა დაამატა, რომ სასურველ შედეგამდე პროგრამა ორი წლის მერე მივიდა, მონიტორინგის პირობის მეშვეობით და აღნიშნა, რომ კმაყოფილი იყო უნივერსიტეტის მუშაობით.

საბჭოს წევრებმაც აღნიშნეს, რომ მონიტორინგის პრაქტიკა საკმაოდ პროდუქტიული იყო და სახეზე იყო პროგრამის განვითარებაზე მუშაობის კარგი მაგალითი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 18:20 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ელიზბარ ელიზბარაშვილი



მდივანი

ნინო ჩინჩალაძე

